

II ტურის დავალებები X-XII კლასელთათვის (არაქართულენოვანი სკოლები)

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა ორივე დავალების შესრულება.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა **15**. დავალებების შესასრულებლად გეძლევათ **3 საათი**.

დავალება №1

თარგმნეთ მშობლიურიდან ქართულ ენაზე:

Nəbatat bağı

Tbilisidəki Nəbatat bağı dünyada ən qədim Nəbatat bağlarından biridir. Onun tarixi XVII əsrdən başlanır. O zaman Sololakinin cənubunda dekorativ və müalicəvi bitkilərdən Çar bağı salınmışdı. Bura əvvəlcə istirahət parkı idi, sonra isə üç kiçik bağ salındı: müalicə bitkiləri, tərəvəz və meyvə bağları. Fransız səyahətçi Şardenin yazdığına görə Kartli-Kaxetinin sonuncu çariçası Məryəm bu bağlara xüsusi qayğı göstərirdi.

Rusiya tərəfindən Kartli-Kaxeti ləğv edildikdən sonra bağlar dövlət mülkiyyəti elan edildi. 1845-ci il mayın 1-dən baş canişin Vorontsovun sərəncamı ilə bağlar birləşdirildi və rəsmi surətdə Nəbatat bağı adlandırıldı. Xeyli sonra, müxtəlif illərdə bağa yenə də ərazi əlavə edildi. Burada rus və alman mütəxəssisləri gürcü nəbatatçıları ilə birlikdə işləyirdilər. Tbilisi Nəbatat bağı 128 hektar ərazini tutur. Burada siz Gürcüstanın nadir və nəsli kəsilməkdə olan bitki növlərini, dünyanın bir çox guşələrindən – Aralıq dənizi sahilindən, Şimali Amerikadan, Çindən, Yaponiyadan, Himalay dağlarından gətirilmiş ekzotik bitkiləri görərsiniz. Bağda nadir liliput və qırmızı ağaclar yetişir. Burada bitkilər ilin müxtəlif fəsillərində, o cümlədən qışda da çiçək açır. Bu cür rəngarəngliyə bağın müxtəlif relyefi və mikroiklimi şərait yaradır. Savkisisskali çayı bağı iki hissəyə bölür. Çayın üstündən bir neçə körpü salınmışdır. Onlardan 1914-cü ildə salınmış şəlalənin üstündən keçən tağlı körpü xüsusilə fərqlənir.

Tbilisi Nəbatat bağının bazasında bir neçə elmi-tədqiqat institutu təsis edilmişdir. Burada bir neçə şöbə və laboratoriya, kitabxana, muzey fəaliyyət göstərir. 1986-cı ildə bağın 350 illiyi beynəlxalq miqyasda qeyd olunmuşdur.

Nəbatat bağının çoxsaylı ziyarətçiləri vardır. Onların bu nadir bağın əsrarəngiz mühitindən ləzzət almaq, gözəl şəlaləni görmək, bambuklar arasında seyr etmək, şəhərin ən qədim tağlı körpüsünü görmək imkanı vardır.

Ботанический сад

Тбилисский ботанический сад – один из древнейших в мире. Его история берет начало в XVII веке. В то время южнее Сололаки был разбит царский сад декоративных и лекарственных растений. Первоначально это был парк для отдыха. Затем были устроены три маленьких сада: лекарственных растений, овощных культур и фруктовых деревьев. Французский путешественник Шарден пишет, что этим садам особо покровительствовала последняя царица Картли-Кახетии Мариам.

После упразднения Россией Картли-Кახетинского царства сады были объявлены государственной собственностью. С первого мая 1845 года распоряжением главноуправляющего Воронцова сады объединились, и сад официально стал называться ботаническим. Позже в разные годы территория сада была расширена. Здесь наряду с грузинскими ботаниками работали российские и немецкие специалисты.

Тбилисский ботанический сад занимает 128 гектаров земли. Здесь представлены редкие и исчезающие виды растений Грузии, экзотические растения из многих уголков мира: Средиземноморья, Северной Америки, Китая, Японии, Гималайских гор. В саду растут редчайшие виды карликовых и красных деревьев. Растения цветут здесь в разное время года, в том числе зимой, что обусловлено разнообразием рельефа и микроклимата в пределах сада.

Река Цавкисисцкали делит сад на две части. Через нее перекинуто несколько мостов. Среди них примечателен построенный в 1914 году над водопадом арочный мост.

На базе Тбилисского ботанического сада основано несколько научно-исследовательских институтов. Здесь функционирует не одно отделение и лаборатория, библиотека, музей. В 1986 году в международном масштабе было отмечено 350-летие ботанического сада.

Ботанический сад принимает множество посетителей. Здесь они могут насладиться необычайной атмосферой уникального сада, увидеть красивейший водопад, прогуляться по бамбуковым аллеям и лицезреть древнейший арочный мост города.

A series of horizontal dashed lines for writing.

შეფასების სქემა

თარგმნა მშობლიურიდან ქართულ ენაზე (15 ქულა)

ბოტანიკური ბაღი (თარგმანის ტექსტი)

თბილისის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მისი ისტორია XVII საუკუნიდან იწყება. ამ დროს სოლოლაკის სამხრეთით გაშენებული იყო დეკორატიული და სამკურნალო მცენარეების სამეფო ბაღი. იგი თავდაპირველად დასასვენებელი პარკი იყო, შემდეგ კი გაშენდა სამი პატარა ბაღი: სამკურნალო მცენარეების, ბოსტნეულისა და ხეხილის. როგორც ფრანგი მოგზაური მარდენი წერს, ამ ბაღებზე განსაკუთრებით ზრუნავდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ბაღები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. 1845 წლის 1 მაისიდან მეფისნაცვალ ვორონცოვის განკარგულებით ბაღები გაერთიანდა და მას ოფიციალურად ეწოდა ბოტანიკური ბაღი. მოგვიანებით, სხვადასხვა დროს ბაღს კიდევ მიუმატეს ტერიტორია. აქ ქართველ ბოტანიკოსებთან ერთად მუშაობდნენ რუსი და გერმანელი სპეციალისტები.

თბილისის ბოტანიკური ბაღი 128 ჰექტარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული. აქ იხილავთ საქართველოს იშვიათ და გადაშენების პირას მისულ სახეობებს, ეგზოტიკურ მცენარეებს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან: ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან, ჩრდილოეთი ამერიკიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ჰიმალაის მთებიდან. ბაღში ხარობს უიშვიათესი ჯუჯა და წითელი ხეები. აქ მცენარეები წელიწადის სხვადასხვა დროს ყვავის, მათ შორის – ზამთარშიც. ასეთ მრავალფეროვნებას ბაღის სხვადასხვაგვარი რელიეფი და მიკროკლიმატი განაპირობებს.

ბაღს ორ ნაწილად ყოფს წავკისის წყალი. მდინარეზე რამდენიმე ხიდია გადებული. მათგან გამორჩეულია 1914 წელს აშენებული თალიანი ხიდი, რომელიც ჩანჩქერზე გადადის.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ბაზაზე დაარსებულია რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აქ ფუნქციონირებს არაერთი განყოფილება და ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, მუზეუმი. 1986 წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა ბოტანიკური ბაღის 350 წლისთავი.

ბაღს მრავალი მნახველი ჰყავს. მათ შესაძლებლობა აქვთ ისიამოვნონ ამ უნიკალური ბაღის საოცარი გარემოთი, ნახონ ულამაზესი ჩანჩქერი, გაისეირნონ ბამბუკებში და იხილონ ქალაქის უძველესი თალიანი ხიდი.

I კრიტერიუმი

№	თარგმანის ადეკვატურობა	ქულები
1.	ტექსტი <i>ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, თუმცა <i>ერთ</i> ან <i>ორ</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	5
2.	ტექსტი <i>მთლიანობაში ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, მაგრამ <i>სამ</i> ან <i>ოთხ</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	4
3.	ტექსტი <i>მთლიანობაში ადეკვატურადაა</i> თარგმნილი, მაგრამ <i>ხუთ</i> ან <i>ექვს</i> შემთხვევაში წინადადება არ არის ზუსტად თარგმნილი.	3
4.	ტექსტის <i>ძირითადი შინაარსი</i> გადმოტანილია, თუმცა გვხვდება გაუმართავი ან გამოტოვებული ადგილები.	2
5.	ტექსტის მხოლოდ <i>მცირე ნაწილია</i> ადეკვატურად თარგმნილი.	1
6.	დავალემა <i>არაადეკვატურადაა</i> შესრულებული.	0 ადარსწორდება

II კრიტერიუმი

№	<i>ტექსტის ორგანიზება</i>	<i>ქულები</i>
1.	ტექსტი <i>ორგანიზებულია</i> .	1
2.	ტექსტი ორგანიზებული <i>არ არის</i> .	0

III კრიტერიუმი

№	<i>ლექსიკა და სტილი</i>	<i>ქულები</i>
1.	ტექსტი სტილისტურად <i>გამართულია</i> , თუმცა გვხვდება <i>ორიოდე</i> სტილისტური ხარვეზი ან არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	3
2.	ტექსტი სტილისტურად <i>ძირითადად გამართულია</i> . არ გვხვდება <i>ოთხზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	2
3.	ტექსტი სტილისტურად <i>ძირითადად გამართულია</i> . არ გვხვდება <i>ექვსზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	1
4.	ტექსტი ლექსიკურად და სტილისტურად <i>გაუმართავია</i> .	0

IV კრიტერიუმი

№	<i>მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი</i>	<i>ქულები</i>
1.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	4
2.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	3
3.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>8-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
4.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>10-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
5.	დაშვებულია <i>10-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

V კრიტერიუმი

№	<i>პუნქტუაცია</i>	<i>ქულები</i>
1.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

წერთი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერთი დავალების მაქსიმალური ქულაა **15**. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა **150** სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ გასწორდება.

I კრიტერიუმი

№	<i>დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება</i>	<i>ქულები</i>
1.	დავალება <i>ადეკვატურადაა</i> გაგებული და გააზრებული.	1
2.	დავალება <i>არაადეკვატურადაა</i> გაგებული.	0 აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	<i>ნაშრომის აგება და ორგანიზება</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომი <i>კარგადაა</i> ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აზრები <i>სწორადაა</i> გამოყოფილი.	1
2.	ნაშრომში <i>დარღვეულია</i> ტექსტის ლოგიკა და/ან <i>არ არის</i> ორგანიზებული.	0

III კრიტერიუმი

№	<i>მსჯელობის დასაბუთება</i>	<i>ქულები</i>
1.	მსჯელობა <i>დამაჯერებლადაა</i> დასაბუთებული და არგუმენტები <i>გამყარებულია</i> შესაბამისი მაგალითებით.	3
2.	მსჯელობა <i>მთლიანობაში</i> დასაბუთებულია, თუმცა <i>ცალკეულ</i> შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	2
3.	მსჯელობა <i>ზერელადაა</i> დასაბუთებული, <i>ხშირ</i> შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	1
4.	მსჯელობა დასაბუთებული <i>არ არის</i> .	0

IV კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება.	2
2.	ნაშრომში <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა მისი ზოგადი განათლება ანდა ნაშრომში <i>მკაფიოდ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა <i>ნაწილობრივ</i> გამოვლინდა ზოგადი განათლება.	1
3.	ნაშრომში <i>არ</i> გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება.	0

V კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ტექსტი სტილისტურად <i>გამართულია</i> , არ გვხვდება <i>ორზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	3
2.	ტექსტი სტილისტურად <i>ძირითადად გამართულია</i> , არ გვხვდება <i>ოთხზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	2
3.	ტექსტში <i>აზრი ძირითადად გასაგებია</i> , არ გვხვდება <i>ექვსზე მეტი</i> სტილისტური ხარვეზი და არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების შემთხვევა.	1
4.	ტექსტი ლექსიკურად და სტილისტურად <i>გაუმართავია</i> .	0

VI კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>8-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია <i>8-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>4-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	<i>არ არის</i> დაშვებული <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>6-ზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0